პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 26 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# ფიოდერ კომუნიდი

167 (865) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## თავხედი განცხადება.

ინგლისის იმპერიალიზმის მადაგახსნილობა ხომ ცნობილია. არც თავხედობა აქვს ნაკლები.

თითეული გემრიელი ნაჭერი, რომელიც მას მოეწონება მზადაა მყისვე მიისაკუთროს. ინგლისის იმპერიალისტური სახელმწიფო ცნობილი მსოფლიო ყაჩაღია. თავისი ურაცხელი სიმდიდრე და ძლიერება მან შექმნა მის მიერ დაჩაგრულ აღმოსავლეთის ერების ზურგზე. ინგლისის ბურჟუაზია უმოწყალოდ სჩაგრავდა და ყვლეფდა აღმოსავლეთის მშრომელთა მასებს. იქ, სადაც ინგლისელი შესდგამდა ფეხს მონობა, ჩაგვრა და მისი ბატონობა გამეფდებოდა. ინგლისის იმპერიალისტი ვერ შერიგებია აღმოსავლეთში წარმოებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი აზრით აღმოსავლეთი მუდამ მისი ყურმოჭრილი მონა უნდა იყოს. ინგლისის კაპიტალისტს სხვაფრად ვერ წარმოუდგენია ამ ქვეყნის არსებობა.

მან მუდამ უნდა იბატონოს, ხოლო აღმოსავლეთი მუდამ მისი მონა უნდა იყოს.

ავიღოთ ერთი დღევანდელი რადიო ცნობათაგანი. სახეში გვაქვს მოსულში ინგლისის უმაღლეს კომისრის თავხედი განცხადება.

აი რა სთქვა მან:

„უთანხმოება ინგლისსა და ოსმალეთს შორის, მე მაგონებს დამოკიდებულებას უძლიერეს მბრძანებელსა და მის ქვეშევრდომთა შორის.

მსგავსი უთანხმოებანი გადიჭრებიან ისე, როგორც ეს სურს მბრძანებელს, მოსამსახურე კი უნდა დაემორჩილოს მას. მშვიდათ იყავით—ოსმალეთი ვერ ეღირსება მოსულსო“.

ეს სიტყვები, რომელიც წამოცდა ამ გაუთლელ იმპერიალისტს საუკეთესოთ ახასიათებს ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ თავის თავგანწირული ბრძოლით და აუარება მსხვერპლის გაღებით, ოსმალეთმა თავი დააღწია უცხოელი იმპერიალიზმის ბატონობას, ინგლისის ბურჟუაზია მას მაინც თავის მონად სთვლის. ის სრულიად არ ფიქრობს დაუბრუნოს ოსმალეთს წართმეული მოსულის რაიონი, რომელიც ცნობილია თავის მდიდარი ნავთის წყაროებით.

ინგლისის კომისრის თავხედი განცხადება საუკეთესო გაფრთხილებაა ოსმალეთისათვის. ეს განცხადება კიდევ ერთხელ ეუბნება მას, რომ ინგლისის იმპერიალიზმი მისი დაუძინებელი მტერია და ის მუდამ შეეცდება მის კვლავ დამონავებას.

ამიტომაც ოსმალეთი მზად უნდა იყოს ყოველთვის. მისი საარსებო ინტერესები მოითხოვს უფრო მაგრად განამტკიცოს თავისი მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირთან, რომელიც ერთად ერთი მეგობარი და გულშემატკივარია დაჩაგრულ აღმოსავლეთის და ყველა იმათი, ვის წინააღმდეგაც მიმართულია იმპერიალიზმის ბასრი კლანჭები.

მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირით და შეურიგებელი დაუნდობელი ბრძოლით მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სამუდამოთ გაინთავისუფლებენ თავის თავს აღმოსავლეთის ყველა დამონავებული და ნახევრად დაჩაგრული ერები.

## „საგარანტიო ხელშეკრულება“ და გერმანია.

ამ ჟამად დიდი მოლაპარაკება სწარმოებს ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიის შორის, ეგრედ წოდებულ „საგარანტიო“ ხელშეკრულების დადების გარშემო.

რა არის საგარანტიო ხელშეკრულება?

ეს არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედება იმპერიალისტურ სახელმწიფოების ახალ კავშირს. ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია მოწადინებული არიან ამ კავშირში ჩაითრიონ გერმანიაც და ერთად აწარმოონ იმპერიალისტური მტაცებლური პოლიტიკა.

გერმანია კი ყოყმანობს.

საგარანტიო ხელშეკრულების დადება ნიშნავს მისთვის ანტანტის საბოლოო ყურმოჭრილ მონად გადაქცევას. ამ ხელშეკრულების ძალით ის უნდა შეუკავშირდეს იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ის გაძარცვეს, გააღატაკეს, დააუძლურეს და დაღუპვის კარამდე მიიყვანეს.

მოაწერს რა ამ ხელშეკრულებას ხელს, ის ხელს იღებს ამ სახელმწიფოებთან მეტოქეობაზე. ამასთანავე ინგლისის და საფრანგეთის მოთხოვნით გერმანიამ ხელშეკრულების ხელისმოწერასთან ერთად უნდა შევიდეს ერთა ლიგაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანიამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ ყაჩაღურ პოლიტიკაში, რომელსაც აწარმოებენ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტები. ამავე დროს კი გერმანიის საარსებო ინტერესები მოითხოვენ მისმა მმართველ წრეებმა უფრო იზრუნონ მის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და არა იმპერიალისტური პოლიტიკა აწარმოონ.

ერთი სიტყვით გერმანიის მიერ საგარანტიო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და მისი ერთა ლიგაში შესვლა დამღუპველი იქნება უპირველეს ყოვლისა თვით გერმანიისათვის ეს იქნება მორიგი უდიდესი ღალატი გერმანიის მშრომელთა მასების წინაშე.

გარდა ამისა „საგარანტიო ხელშეკრულების“ დადება ნიშნავს ახალ იმპერიალისტურ ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუმცა გერმანიის მთავრობა თითქოს ყოყმანობს, მაგრამ მისი უკანასკნელი პასუხი მოკავშირეების ნოტაზე ნათლად ამტკიცებს მას, რომ ის მიდის დათმობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საარსებო ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო ეკონომიურ კავშირის გაბმას საბჭოთა კავშირთან, გერმანიის მთავრობა არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას და აპირებს ყაჩაღურ კავშირში შესვლას.

მით უარესი მისთვის. ამით ის მხოლოდ თავის თავს მოუტანს ზიანს.

ჩვენ კი არავითარი იმპერიალისტური მთლიანი ფრონტის არ გვეშინია. ჩვენს მხარეზეა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სოლიდარობა. ჩვენი წითელი არმია იმდენად ძლიერია, რომ ის ყოველთვის ღირსეულ პასუხს გასცემს ჩვენი მტრების თავხედობას.

ასეთი იმპერიალისტური კავშირები ჩვენს წინააღმდეგ არა ერთხელ და ორხელ დამსხვრეულა ჩვენი სიმტკიცის კედელზე, არა ერთხელ დაირღვევა მომავალშიც.

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში.

### უმაღლეს სამეურნეო საბჭოში.

გერმანიის მუშათა დელეგაციამ ინახულა უმაღლესი სამეურნეო საბჭო.

ამასთან დაკავშირებით გამართულ იქნა საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარმომადგენლებმა მოხსენება გააკეთეს მრეწველობის საერთო მდგომარეობის შესახებ.

დელეგაციების მხრივ იყო მთელი შეკითხვები.

გერმანიის დელეგაციის სახელით ბეკმა განაცხადა: „რუსეთის მუშათა კლასის მაგალითი წაახალისებს გერმანიის მუშებს ბოლომდის მიიყვანონ მუშათა კლასის გათავისუფლების საქმე“.

### ფრეიბერგერი საპატიო პიონერად აირჩიეს.

პიონერების წარმომადგენლებმა ინახულეს ფრეიბერგერი და განუცხადეს მას მისი საპატიო პიონერად არჩევის შესახებ. პიონერებმა სთხოვეს მას გადასცეს გერმანიის პიონერებს სალამი და წერილი.

მოსკოვის პროფსაბჭოს სკოლაში გაიმართა სპორტის დღესასწაული დელეგაციის საპატივცემოდ.

### გერმანიის მასწავლებლები განათლების კომისარიატში.

დელეგაციის მასწავლებელ წევრებმა ინახულეს განათლების კომისარიატი.

საქმის გაცნობის შემდეგ მათ განაცხადეს: „ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირმა განათლების საქმეში ბევრის მხრივ გაუსწრო გერმანიას. ასეთი მუშაობით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ააგებს ახალ კულტურას, რომელზედაც ისწავლიან სხვა ქვეყნებიც“.

## გერმანიის დელეგაცია ესტუმრება კავკასიას.

დღეს გერმანის დელეგაცია სტოვებს მოსკოვს და მოემგზავრება კავკასიაში, საბჭოთა კავშირის მუშათა ყოფა ცხოვრების შესასწავლად.

## გზად შვეციისკენ.

24 ივლისს მოსკოვიდან ლენინგრადში მივიდა შვეციის დელეგაცია, რომელიც უკვე ბრუნდება შვეციაში.

გაიმართა საპატივცემულო მიტინგი, რომელიც დასრულდა ინტერნაციონალის სიმღერით შვედურ და რუსულ ენებზე.

2 საათზე ინტერნაციონალის სიმღერით მატარებელი დაიძრა სადგურიდან.

## კომპარტიის რიგების ზრდა.

რკპ-ს ცეკას სტატისტიკური განყოფილების ანგარიშის მიხედვით 1-ლი მაისისათვის მთელ საბჭოთა კავშირში პარტიაში ირიცხება 27.972 უჯრედი.

რკპ-ს წევრებისა და კანდიდატების რიცხვი 1-ლ მაისისთვის უდრიდა 875.666 კაცს. უკანასკნელ თვის განმავლობაში მოემატა 28.501 კაცი, რომელთა შორის 5.074 ქალია.

## ალვირ ახსნილი კომისარი.

ოსმალეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია ბრიტანეთის უზენაეს კომისრის განცხადებამ ირაკში ინგლისის მიერ მოსულის დაკავების შესახებ:

„კონფლიქტი ინგლისსა და ოსმალეთს შორის მოგვაგონებს დამოკიდებულებას ძლევა-მოსილ მეთაურსა და მის მორჩილს შორის.

ასეთი კონფლიქტი გადაიჭრება როგორც ეს სურს ბატონს, მონას კი მორჩილება მართებს.

დამშვიდებით ბძანდებოდეთ—ოსმალები ვერ იხილავენ მოსულს“.

ოსმალეთის ხელმძღვანელი ორგანო „ჯუმურიეტი“ ამის გამო აცხადებს, რომ ინგლისს უკვე უწოდეს ბოროტ ალბიონის სახელი, რომელიც ცნობილია სიძულვილით ყველა არა ინგლისელებისადმი.

ასეთი თავხედობა—სწერს გაზეთი—ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს“.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

### ლიუტერის განცხადება.

„გერმანიამ უნდა მიიღოს გარანტია, რომ ის არ გადაიქცევა ბრძოლის ველად.

რეიხსკანცლერ ლიუტერმა გერმანიის რეიხსტაგში განაცხადა: გერმანია დასდებს საგარანტიო ხელშეკრულებას მხოლოდ მხარეთა თანასწორობისა და ურთიერთ ვალდებულებათა საფუძვლის მიხედვით.

გერმანიამ ჩაატარა განიარაღება, ის დარჩა უიარაღოთ და ეს იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნები აძლიერებენ თავიანთ შეიარაღებას. გერმანიამ უნდა მიიღოს გარანტია, რომ მისი ტერიტორია არ გადაიქცევა ბრძოლის ასპარეზად.

დასასრულ ლიუტერმა აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს ნამდვილ მშვიდობიანობის განსახორციელებლად.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე.

**21 ივლისის სხდომის გაგრძელება.**

შემდეგ შეკითხვაზე ბრალდებული უპასუხებს, რომ მის დაუსწრებლად ყოფილა ის არჩეული სხივლების ცეკას წევრად, მაგრამ სოფლად ყოფილა და ამის გამო ცეკას სხდომებს არ დასწრებია.

—სანამ სოფელში ვიყავი—ამბობს ის—არავიცოდი არაფერი, ტფილისში რომ ჩამოვედი მითხრეს რომ არის მოლაპარაკება პარტიებს შორის ნაციონალური ბლოკის შესახებ. მუხრან ხოჭოლავამ დამიძახა პარტიების ერთ სხდომაზე და მეც დავესწარი. ეს ამით გათავდა. მას შემდეგ მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია არც შეთანხმებაში, არც მოლაპარაკებაში შემდეგ დამიჭირეს. ციხიდან რომ გამოვედი, მითხრეს—პარიტეტთან ფაქტიურად გაწყვეტილია კავშირო.

**თავმჯდომარე:** თქვენ ამბობთ, რომ ხოჭოლავას შემდეგ პარიტეტში არ ყოფილა წარმომადგენელი, ამავე დროს ფალავა სწერს საზღვარგარედ. იმნაიშვილი სხვებთან ერთად ჩვენთან არისო.

**იმნაიშვილი:** როცა ხოჭოლავა გარდაიცვალა, მე ვეწეოდი საორგანიზაციო მუშაობას სულ ერთ ან ორ თვეს. ამის შემდეგ მე საორგანიზაციო მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია.

მაშინ გავრცელებული იყო ხმები გიორგაძე გაბოლშევიკდა და იმნაიშვილი გამენშევიკდაო. შესაძლებელია, ფალავამ ამ ხმებს დაუჯერა და წერილშიაც მოიხსენია.

**ოკუჯავა.** ხოჭოლავას შემდეგ შედიოდა თუ არა თქვენ განვინმე პარიტეტულ კომიტეტში?

**იმნაიშვილი:** მუხრანის სიცოცხლეში მის მეტი არავინ გაგვიგზავნია პარიტეტულ კომიტეტში. მისი სიკვდილის შემდეგ, რამდენადაც ვიცი, არც ერთს ჩვენგანს მონაწილეობა არ მიგვიღია.

**22 ივლისის დილის სხდომა.**

გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა.

კირილე ნინიძე (46 წლის, იურისტი).

თავმჯდომარის კითხვაზე—რა პარტიას ეკუთვნის ის, ნინიძე აცხადებს:

„— ვიყავი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი, ამჟამად კი ტუსაღი ვარ“.

**თავმჯდომარე**—განმეორებით ეკითხება:

„— ტუსაღი ხართ, მაგრამ რომელ პარტიას ეკუთვნით?

**ბრალდებული**—იძულებულია უპასუხოს:

„— რწმენა ისეთივე დამრჩა, მაგრამ ამჟამად პარტიის გარეშე ვარ!“

პარიტეტული კომიტეტი, სადაც შედიოდა ნინიძის ჯგუფის, „სხივლების“ წარმომადგენელიც, ბრალდებულის სიტყვით, პარტიების თანაბარ წარმომადგენლობა ა ორგანო იყო, რომელსაც არ შეეძლო გადაედგა ყველა წევრთა თანხმობის გარეშე, რაიმე პოლიტიკური ნაბიჯი.

აგვისტოს გამოსვლების შესახებ ბრალდებული აცხადებს: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ აჯანყების წინააღმდეგი ვართ და ამ გამოსვლასაც უარყოფითად ვუყურებდით; რაც შეეხება ჩვენს-„სხივლების“ აწინდელი დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს მასთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ ეს არის ორ მხრივი აქტი; ამისთვის საჭიროა ხელისუფლებამაც დაინახოს თავის მხრივ ეს საჭირო თანამშრომლობა.

ჩვენ ვამბობთ, რომ საბჭოთა სისტემა მისაღებია მშრომელ ხალხისთვის, „თუ დაცული იქნება თავისუფლება **სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის და სხვა**“. საყოველთაო არჩევნებიდან ხელი ავიღე. თუ გსურთ გამოიყენეთ ჩვენი მცირე ძალები.

**მიხეილ ბოჭორიშვილი.**

32 წლის, ინტელიგენტი, ესერების პარტიის ცეკას წევრი. პარიტეტული კომიტეტის წევრი 1923 წლიდან.

— აჯანყების საკითხი—ამბობს ის—ჯერ კიდევ 1923 წლის ზაფხულზე დაისვა პარიტეტულ კომიტეტში და ამ დროიდან მზადდებოდა. ეს საკითხი შემდეგ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში იქნა გადატანილი. დამოუკიდებლობის კომიტეტმა დაიჭირა კავშირი ჩოლოყაშვილთან 1923 წლის შემოდგომაზე, თუ ზაფხულის დამლევს. მასთან დაგვაკავშირა ნაც. დემოკრატების პარტიამ. აჯანყების წინ ჩრდილოეთ კავკასიაში წავიდა ჩვენი წარმომადგენელი, რომელმაც იქაურ საზოგადოებას გააგებინა, თუ რა უნდა მომხდარიყო ჩვენში.“

**ბრალდებული ბახტაძე.**

28 წლის, ყოფ. სასულიერო წოდების, ინტელიგენტი. სოციალისტ-რევოლიუციონერი. ამ ჟამად უპარტიოდ სთვლის თავს. პოლიტიკური რწმენა, როგორც განაცხადა, სოც. რევოლიუციონური აქვს.

— ჩემს დავალებაში შედიოდა-ამბობს ის—ტფილისში **საკომენდანტოს, სასახლისა და ამიერკავკასიის ჯარების შტაბის აღება.** ჩემი რაზმი 65 შეიარაღებული და 35 უიარაღო კაცისაგან შესდგებოდა.

**თავმჯდომარის** შეკითხვაზე, როგორ უყურებს ის აგვისტოს გამოსვლებს, ბრალდებული უპასუხებს:

„მე ამ გამოსვლებს ვამართლებ, მიუხედავად იმისა, რომ ვერავითარი მონაწილეობა ვერ მივიღე შიგ.“

დამცველი **რიჟამაძე** მოაგონებს **ბახტაძეს**, რომ მან ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომ აგვისტოს გამოსვლები საზარალო იყოო.

ამაზე ბახტაძე უპასუხებს, როცა თანხმობა განვაცხადე რაზმის უფროსობაზე, მაშინ ვამართლებდი შეიარაღებულ აჯანყებას, ეხლა კი ვგმობ-“ო.

**ბრალდებული ჭანიშვილი.**

28 წლისა, ყოფილი ესერი, ამ პარტიის ცეკას წევრი, რწმენით დღესაც ესერი.

ის აცხადებს, რომ არალეგალურ მუშაობას არ ეწეოდა, რადგანაც ავად იყო, თუმცა ცეკას წევრი იყო, მაგრამ მასთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა.

აჯანყების შესახებ მან იცოდა იმ ხმებიდან, რომელიც ქალაქში დადიოდა.

**ბრალდებული ივანე ლორთქიფანიძე,**

36 წლის, უმაღლესი განათლებით, პარტიის გარეშე სთვლის თავის თავს.

აჯანყების შესახებ „გარდა უბრალო ლაპარაკისა“ მან არაფერი იცოდა, არც ის ახსოვს რომ მასთან სამსახურში მივიდა ერთ-ერთი პარტიის წევრი რაიმე დავალებით. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ის თბილისში იყო.

„—აჯანყება მიმაჩნია მიზანშეუწონლად იმ მომენტის გამო, როგორიც იყო საქართველოში, ამბობს ბრალდებული, ამიტომ მე უარყოფითად ვუყურებდი მას და ახლაც ასე ვაფასებ“.

**ბრალდებული ნაკაშიძე.**

28 წლის, ყოფილი თავადი ოფიცერი, უპარტიო.

ერეკლე ცაგურიამ, რომელიც ბრალდებულის აზრით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო დავალება მისცა მას გამგზავრებულიყო ჩრდილო-კავკასიაში და ენახა ქისტების კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის უფროსი ალი-მითაევი.

ამის შემდეგ ნაკაშიძეს ევალებოდა უკან გამობრუნება და ცნობების ჩამოტანა.

აჯანყების წინა დღეებში—26 აგვისტოს, ბრალდებული ნაკაშიძე გაემგზავრა საგარეჯოში, ერეკლე ცაგურიას წინადადებით, რომელმაც შეატყობინა მას, რომ აჯანყება მზადდება და საჭირო იქნებიო.

# მეტი ყურადღება ცნობათა ბიუროებს.

### კითხვა-პასუხის საღამოები.

ასეთ საღამოების მოწყობის დროს ჩვენ ნაწილებში, მხედველობიდან იკარგებოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. მე ვლაპარაკობ ამ საღამოებზე ადგილობრივი სამოქალაქო უწყებაში მომუშავეების გამოყენების შესახებ.

მარტო ნაწილის სახელმძღვანელო შემადგენლობით კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობას არ ექნება დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან წითელ არმიელს სხვა დროსაც შეუძლია ნაწილის ამა თუ იმ მომუშავეს შეეკითხოს. სამოქალაქო უწყებიდან მოსულ პირს კი წითელ არმიელი შეიძლება ხელმეორედ ვერ შეხვდება, ამისათვის ის იმავე საღამოს ცდილობს ამოსწუროს მთელი თავისი კითხვები. რაც შეეხება კი იმ საკითხს, თუ რომელი ადგილობრივი მომუშავენი უნდა იქნენ კითხვა-პასუხის საღამოზე მოწვეულნი, ეს სულ ადვილად არის გამოსარკვევი—უპირველეს ყოვლისა—მიწათმოქმედების კომისარიატის მომუშავენი, საბჭოთა სასამართლოს წევრები, „ცაკ“-ის წევრები, ადგილობრივ საბჭოს წევრნი და სხვა. იყო შემთხვევები როდესაც სამოქალაქო უწყებიდან ამა თუ იმ პასუხისმგებელ ამხანაგის მოწვევის დროს უკანასკნელი ნაწილში მოსვლამდი არ იყო გაცნობილი თუ რა და რა შეკითხვებს მისცემენ მას წითელ არმიელები, რის გამო ის იძულებული იყო გაეცა ზოგ კითხვებზე პასუხი წერილობითი სახით თავის დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ. ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ნაწილების მომუშავეთა მიერ და წინ და წინ გააცნონ შეძლებისდაგვარად ადგილობრივი მომუშავე ყოველივე იმას, თუ დაახლოებით რა ინტერესებს წითელ არმიელებს, რა ხასიათის შეკითხვები იქნება უკანასკნელების მიერ მიცემული კითხვა-პასუხ ს საღამოზე.

**წითელ არმიელების წერილები.**

ახლოს არის დაკავშირებული ცნობათა ბიუროს საქმესთან წითელ-არმიელების წერილების ბიუროს მუშაობა. წითელ არმიელების წერილებში პოულობს გამოხატულებას მათი ოჯახის ჭირ-ვარამი, ადგილებზე საბჭოთა ორგანოების არა ხწორი მუშაობა. ყოველივე ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და ასეთი ხასიათის საჩივრები უნდა იქნეს თავის დროზე გაგზავნილი სადაც ჯერ არს. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი მომუშავეებმა გამოიჩინეს გულგრილობა და უყურადღებობა წითელ არმიელის შეკითხვაზე, ასეთი შემთხვევა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ჩვენს პროკურატურას სათანადო ზომების მისაღებათ.

ამასთანავე ერთად უნდა დაისვას საკითხი სამაზრო და ცენტრალურ აღმასკომებთან რწმუნებულების გამოყოფის შესახებ, რომლის მოვალეობაში უნდა შედიოდეს წითელ არმიელების საჩივრების გარჩევა და ადგილებზე სათანადო განკარგულების გაცემა.

ყოველივე პოლიტ მომუშავემ, ყოველივე საბჭოთა მუშაკმა კარგათ უნდა შეითვისოს რომ წითელ არმიელს მხოლოდ მაშინ მიეცემა სამხედრო სწავლების წარჩინებით გავლის საშუალება, როდესაც მას აღარ შეაწუხებს სახლიდან ამაღელვებელი წერილები, და როდესაც იგი თავის თვალით დაინახავს, რომ მის ოჯახს დიდის ყურადღებით ეპყრობიან.

ჩვენი ცნობათა და წითელ არმიელთა წერილების ბიუროების მუშაობას კი დიდი ადგილი უჭირავთ ამ საჭირო და ნაყოფიერ საქმეში.

**მესხეთელი.**

# სამხედრო საქმე

### მსროლელის მოვალეობა ბრძოლაში.

ყველა სახის მეცადინეობა უკვე დასასრულს უახლოვდება. მეომარმა იცის ეხლა როგორ უნდა იმოქმედოს ძიების, შეტევის, მოგერიების დროს, ღამით, დღისით და სხვა. ეხლა საინტერესოა ჯამი გაუკეთოდ და რამოდენიმე სიტყვით განვსაზღვროდ, თუ რა და რა მოვალეობა ეკისრება მსროლელს ბრძოლაში. ბრძოლა ხომ უმნიშვნელოვანესი მომენტია სამხედრო ნაწილის მთელ მუშაობაში.

მსროლელის უმნიშვნელოვანესი მოვალეობანი შემდეგია:

1) დაიჭიროს მუდმივი მჭიდრო კავშირი თავის მეზობელთან მარცხნივ;

2) დაუყონებლივ აასრულოს ყველა ბრძანება და განკარგულება, რომელსაც იძლევა მეთაური;

3) მეთაურის ნებადაურთველად და ბრძანების გარეშე არ წავიდეს უკან;

4) ყოველთვის უნდა ცდილობდეს თავის ამხანაგების წინ იყვეს;

5) არ უნდა დაივიწყოს შენიღბვის შესახებ და ყოველ გარემოებასა და პირობებში შეეხამოს ადგილს; შესვენების დროს, თუნდაც ის მოკლე ხნით იყოს, უნდა ამოსთხაროს სანგარი;

6) განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალ ყური ბრძოლის ველს და რასაც კი შეამჩნევს, მოახსენოს მეთაურს;

7) ცეცხლი უნდა გახსნას უფროსის ბრძანებით; 600 მეტრზე მსროლელს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ცეცხლი;

8) განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალ ყური თავის სროლის შედეგებს, რომ გაასწოროს შეცდომები და ტყვია-უბრალოდ არ ხარჯოს ვაზნები.

9) ყოველთვის უნდა იცოდეს, რამდენი ვაზნა და გრანატი დარჩა და როცა გამოილევა მარაგის ნახევარი, მოახსენოს მეთაურს;

10) გადარბენის დროს ჩახმახი შეყენებულ უნდა იქნას დამცველ ფეხზე და სავაზნე უნდა ჰქონდეს შესკვნილი;

11) როცა მეზობელი გადარბენას აწარმოებს, უნდა დაეხმაროს მას ცეცხლით;

12) თუ რომ მეთაურს მიზანი არ უჩვენებია, მაშინ უნდა ესროლოს მიზნის იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება პირდაპირ მსროლელის წინ.

13) გაზების გამოჩენისთანავე სწრაფად ჩამოიცვას ნიღაბი და განაგრძოს თავისი მოქმედება; ნიღაბი უნდა მოიხსნას მხოლოდ მეთაურის ბრძანებით;

14) გრანატებით უნდა იმოქმედოს, როცა მტერი იმყოფება არა უშორეს 50 ნაბიჯისა;

15) თუ რომ დაიჭრა, მსროლელს შეუძლია წავიდეს შემხვევ წერტზე მხოლოდ მეთაურის ნებართვით, ხოლო მთელი თავისი ვაზნები უნდა გადასცეს მეზობლებს.

16) უნდა ახსოვდეს, რომ დაჭრილებზე ზრუნავენ სანიტრები. ამიტომ მეთაურის უნებართვოდ არ შეიძლება დაჭრილის წაყვანა ზურგში;

17) ბრძოლაში მსროლელი უნდა იყოს მშვიდი, წინდახედული და გამბედავი.

თუ რომ თვითეულ მეომარს კარგად ეცოდინება ყველა ეს მოვალეობა და კეთილ სინდისიერად აასრულებს მას, ბრძოლაში წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

**პ.**

# არმიის მე-4 ოლიმპიადა.

### მე-4 დღე 23 ივლისი.

საღამოს სტადიონის წრეგზაზე გაიმართა ინდივიდუალური შეჯიბრი სირბილში 1.500 მეტრზე.

ეს ვარჯიში ავითარებს სასუნთქ ორგანოებს, ფეხების კუნთებს და სხვა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის დროს მანძილის დაძლევაში.

შედეგები:

სინოდალოვმა (სომხ. მე-2 მსრალელი ლეგიონი) მეორე შემორბენაზე გაიარა 1.500 მეტრი 4 წუთსა და 45 წამში; გუშჩევმა (ტფ. პ. სკ.) მე-3 შემორბენაზე—4 წუთსა და 45,7 წამში; მოშედოვმა (კავკ. მე-4 მსრ. ლეგიონი) პირველ შემორბენაზე—4 წუთსა და 52 წამში.

ეს ამტკიცებს ჩვენი არმიის ახალგაზრდა სპორტის წარმატებას.

სხვათა შორის ამ შეჯიბრმა გამოაჩინა, რომ ზოგიერთი მონაწილე არ იცნობს იმ წესებს, რომლებიც აუცილებლად დაცულ უნდა იქნან სირბილის დროს.

საქმე ისაა, რომ სირბილი 1.500 მეტრზე მოითხოვს არა მარტო გულისა და ფილტვების გაძლიერებულ მოქმედებას, არამედ რაც მთავარია, წესიერ სუნთქვას და ცოდნას გაითვალისწინო წინასწარ თავისი ძალა არანორმალური სუნთქვის თავიდან ასაცილებლად.

ამიტომ სირბილი უნდა იყოს ზომიერი და მშვიდი. იქ კი ზოგიერთ მონაწილეს თავიდანვე ეტყობოდა უზომო სიჩქარე, ნერვიულობა და ჩვეულებრივად უკან რჩებოდენ; პირველად მოდიოდენ დანიშნულ ალაგას ისინი, რომლებიც თავიდანვე იცავდენ აღნიშნულ წესებს.

საინტერესოა ექიმების დაკვირვების შედეგები: მონაწილე დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში შეისვენებდა სიარულით და შემდეგ უსინჯავდენ გულსა და ფილტვებს.

გამოირკვა, რომ პირველი წუთის განმავლობაში მაჯის ცემა უდრის 140—170 (70—90 ნორმალურის მაგივრად), ხოლო სუნთქვის რაოდენობა—30—40-ს (ოცის მაგივრად.) მაჯის ცემა და სუნთქვა უბრუნდება ნორმას მესამ წუთში.

გრანატების ტყორცნის შედეგები:

1-ლი ადგილი დაიჭირა სერგეევმა (ტფ. პ. სკ.)—69 მეტრი, 70 სანტ., მე-2 ადგილი—ევსტიფეევმა—57 მეტ. 80 სან., მესამე ადგილი—ჩერედნიკოვმა (სანაპირო სკოლა)—57 მეტრი და 68 სანტიმეტრი.

გრანატების ტყორცნა ავითარებს მთელს ნერვებისა და კუნთების აპარატს და განსაკუთრებით მხრების კუნთებს; გარდა ამისა ავითარებს მოქნილობას, თავდაცვისა და თავდასხმის უნარს; საბრძოლო გარემოებაში მას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი ლაშქრობა.

მე-4 ლეგიონი.

დილაა... ასეულები ემზადებიან საალყუმოთ. თავს იყრიან ერთს დანიშნულ ადგილას.

იგრიალა მუსიკამ.

გამოიტანეს დროშა.

სმენა!—გაისმა ბრძანება.

ლეგთავმა გაგვაცნო ლაშქრული სიარულის წესები.

გაუდგით გზას.

წითელი არმიელები მიდიან დიდის ხალისით. მღერიან. მუსიკა უკრავს.

უცებ გაისმა ქიმიურ თავდაცვის ნიშანი.

ყველანი სწრაფად ინიღბებიან.

ბრძანების კარგად შესრულებისთვის ლეგთავისაგან ვღებულობთ მადლობას.

შევედით სოფელ №-ში.

მცხოვრებლები აღტაცებით გვხვდებიან.

ყველას უნდა გაგვიმასპინძლდენ, მაგრამ წყობილება უშლით ხელს.

სოფელში ცოტა ხნით დავისვენეთ.

აქ დავათვალიერეთ სხვა და სხვა ისტორიული ნაშთები. ამ სნა-განმარტებას იძლეოდა მეთაური ყუბანეიშვილი.

გაისმა ბრძანება:

—შეკრება, მტკვარზე გადასვლა ტოპვით.

გავედით მეორე ნაპირას.

დავისვენეთ. ვისადილეთ. კვლავ თამაში. სიმღერა.

ისმის ბუკის ხმა. ასეულებში ეწყობიან. გასინჯვა. გაუდექით გზას. მივედით ს. №-ში. აქაც გლეხები აღტაცებით შეგვხვდენ დასვენება. საუბარი გლეხობასთან. კვლავ გზა.

სულ ამ დღეს გავიარეთ ოცი ვერსტი და საღამოს რვა საათზე დავბრუნდით ყაზარმაში.

სამხკორი ხან—მანი.

## ჩვენც გამოუშვით კედლის გაზეთი.

მე-5 ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონის საკავშირო გუნდში მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ჩვენი მეთაურები არ იშურებენ თავიანთ ძალ ღონეს, რომ კარგად შეგვათვისებიონ სამხედრო საქმე. გვაქვს კარგად მოწყობილი ლენინის კუთხე, სადაც სწარმოებს ხმამაღალი კითხვა. საკავშირო გუნდმა თავის ძალებით შესძლო კედლის გაზეთის გამოშვება. გაზეთი საინტერესოთაა გამოცემული.

სამხკორი კოლო.

## დავაარსეთ სხვა და სხვა წრეები.

მე 4 ტერლეგიონი.

მე-9 და მე-8 ასეულებმა დავაარსეთ შემდეგი წრეები: სამხედრო, პოლიტიკური, დრამატიული და სხვა. ყველა წრეებში მუშაობა გაჩაღებულია. აგრეთვე არის ჩვენთან „რემესის“-ს და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებების უჯრედიც. ამ დღეებში ვფიქრობთ წარმოდგენის დადგმას. დადგმული იქნება „ძველი და ახალი ყაზარმა“. პიესის მომზადებას უკვე შეუდექით.

15 ივლისს გამოუშვით კედლის გაზეთი. გაზეთი მეტად სუფთად და ლამაზათაა გამოცემული. გაზეთის გამოშვებამ დიდი სიხარული გამოიწვია წითელ არმიელებში. გაზეთში მოთავსებულ წერილების უმეტესი ნაწილი წითელ არმიელებს ეკუთვნით.

წ. არმიელი ა. იმერლიშვილი.

## მოვემზადოთ მომავალი მუშაობისათვის.

(წითელ არმიელის წერილი).

ამხანაგებო, ახლოვდება დრო ჩვენი უვადო შვებულებაში დათხოვნისა.

დიდი მოვალეობა არის ჩვენზედ დაკისრებული.

სოფლად ჩვენ ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ არა ვართ ის, რაც წინ ვიყავით. ჩვენ უბრუნდებით სოფელს სრული შეგნებით, ამ შეგნებით ჩვენ შევძლებთ სოფლის მეურნეობის აყვავებას, რაც წინ წასწევს მშრომელ ხალხის მდგომარეობას.

ჩვენ უკვე ვიცით ამხანაგებო, თუ რა სარგებლობა მოუტანა მშრომელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ; ჩვენ უნდა გამოვიყენოთ „ჩვენი მომზადება; ის ცოდნა რომელიც ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა, ხალხს დაუბრუნოთ, ამით ჩვენ შევძლებთ ერთხელ და სამუდამოთ მშრომელ ხალხის მტრების დამარცხებას.

ამავე დროს ჩვენ მზად ვართ საბჭოთა ხელისუფლების პირველი გამოძახილისთანავე შევამსოთ ჩვენი რიგები და გავცეთ მაგიერი პასუხი მშრომელ ხალხის გამყიდველებს.

თქვენც, ამხანაგებო ახალწვეულნო! მოგიწოდებთ ენერგიულად მოკიდოთ ხელი სამხედრო და კულ. პოლ. საქმეს. თქვენც ისე მოევლინებით სოფელს გათვითცნობიერებული როგორც ჩვენ. ამით შევძლებთ საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებას.

ძველი წ. მ. იონა კორძახია.

## „როგორ ჩატარდა წიგნის კვირეული“.

(მე-4 ლეგიონში.)

ჩვენი ლეგიონი 3 ივნისიდან შეუდგა წიგნის კვირეულის ჩასატარებელ სამზადისს. არჩეულ იქნა კამპანიის ჩასატარებლად კომისია. ჩაბმულ იქნა მუშაობაში ბიბსაბჭოს, ბიბლიოთეკის მეგობართა და მკითხველთა ჯგუფის წევრები.

რადგან ჩვენი ლეგიონის ათასეულები დაბინაკებულნი არიან სხვა და სხვა მაზრებში, ამიტომ კომისიას დასჭირდა დაორკეცებული მუშაობა წიგნის კვირეულის ჩასატარებლად. კომისიის მიერ იქნა გამომუშავებული გეგმა, დამზადებულ იქნა საკმაო რიცხვი პლაკატებისა და ლოზუნგებისა და დაგზავნილი ათასეულებში. მე-2 და მე-3 ათასეულებში გაგზავნილ იქნა ლეგბიბლიოთეკარი კვირეულის ჩასატარებლად.

**პირველ ათასეულში.**

კამპანია დაიწყო 5 ივლისს. გაკეთებულ იქნა მოხსენებები შემდეგ თემებზე: წიგნის ისტორია, ბიბლიოთეკის და წიგნის მნიშვნელობა, ბურჟუაზიული და პროლეტარული წიგნი, ქოხსამკითხველოების მნიშვნელობა სოფლად და ქოხ სამკითხველოების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში. მოწყობილ იქნა „წიგნის მკვლელის“ პოლიტგასამართლება. წიგნის კვირეულის ჩატარების დროს საგრძნობლად გაიზარდა მკითხველთა რიცხვი და ბიბლიოთეკა იძულებული იყო შეეძინა 750 ქართული წიგნები და ამდენივე რუსულ-სომხური.

**მეორე ათასეული.**

კვირეულის ჩამტარებელ კომისიის მიერ ბიბლიოთეკასთან დაარსებული იქნა: ლენკუთხე, პოლიტიკურ, სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და სანიტარული განყოფილებები. ყოველ განყოფილებასთან მაგიდაზე გამოფენილია სათანადო ლიტერატურა და ლოზუნგები. ბიბლიოთეკასთან დაარსდა აგრეთვე ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი. მოწყობილ იქნა წიგნების გამოსაფენი მაგიდები ყველა ასეულებში. 8-13 ივლისამდე კომისიის მიერ იქნა გაკეთებული სამი მოხსენება და ჩატარებული ერთი საუბარი წიგნის მნიშვნელობის შესახებ. მოეწყო ექსკურსია წიგნის მაღაზიაში და სტამბაში და დადგმული იქნა წიგნის საღამო.

**მესამე ათასეული.**

5-12 ივლისამდე კომისიის მიერ შედგენილ იქნა ბიბლიოთეკის წიგნთა კედლის კატალოგი, წიგნები სათანადოთ იქნა დალაგებული.

გაკეთებულ იქნა ოთხი მოხსენება წიგნის მნიშვნელობაზე, გაიმართა წიგნის საღამო, მოეწყო „წიგნის მკვლელის“ პოლიტ გასამართლება. დაიდგა ორ მოქმედებიანი პიესა „ძველი და ახალი ყაზარმა“. წიგნის საღამოს წ. არმიელების გარდა დაესწრენ მუშა-მოსამსახურეებიც.

კვირეულის მომწყობი კომისია.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი.

პირველ ლეგიონის ბიბლიოთეკას წინა წლებთან შედარებით დიდი გაუმჯობესება ეტყობა.

გასულ წლეებში ბიბლიოთეკას თავისი შესაფერი შენობაც არ ქონია და მკითხველთა რიცხვიც მცირე ყავდა. წიგნებიც ძლიერ ცოტა მოგვეპოებოდა.

1924 წლიდან ჩვენი მესვეურების მიერ ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა ლეგიონის ბიბლიოთეკის მოწყობის საქმეს და ეს მართლაც საუცხოვოთ იქნა მოგვარებული.

ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლად დამკვრელი ზომები მიიღო ლეგთავმა, სამხკომმა, ბიბგამგემ და სამნეო ნაწილმა. ამ ამხანაგების მეოხებით ჩვენს ბიბლიოთეკას მიეცა საუცხოვოთ შეკეთებული ბინა. ამ დღიდან ბიბლიოთეკამ მიიღო ნამდვილი სახე.

მოერთო ის სურათებით, ლოზუნგებით, საჭირო კედლის გაზეთებით, წიგნებით, გაზეთებით და სხვა. ბიბლიოთეკაში ნახავთ მრავალ მხატვრულ ნაწარმოებს, რაც იზიდავს აუარება მკითხველს.

ლეგიონის ბიბლიოთეკა იძენს მრავალ წიგნებს, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე. ფართოვდება ასეულების ბიბლიოთეკები და ემატება თანდათანობით მკითხველთა რიცხვი წითელ-არმიელთა მასიდან.

1925 წლის ივლისში ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი უდრიდა 800 კაცს. აქედან 72 უფ-პოლიტშემადგენლობაა, დანარჩენი 728 წითელ-არმიელები. თუ 1922—23-ში ქართული წიგნების უქონლობა აფერხებდა მუშაობას, დღეს ეს ნაკლი სავსებით გამოსწორდა. ბიბლიოთეკა სისტემატიურად ივსება ახალი წიგნებით. ყოველი პროგრამის გასატარებლათ ბიბლიოთეკაში მოიპოვება საჭირო წიგნები, რასაც ის აწვდის მასალად პოლიტ-მომუშავეებს საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებისათვის. ასეთივე დახმარებას უწევს ბიბლიოთეკა სამხედრო მეცადინეობას. ის იძენს ყველა ახალ გამოსულ სამხედრო წიგნებს.

ბიბლიოთეკას დღეს 4.000-დე ქართული წიგნი აქვს.

დღეში 100—150 წიგნები იცემა მარტო ლეგ. ბიბლიოთეკიდან. წიგნებს მკითხველები კარგად ეპყრობიან. მკითხველებს ის სათანადო ხელმძღვანელობას უწევს კითხვაში. ბიბლიოთეკის 11 ლენ-კუთხეში აქვს გაცემული წიგნები კოლექტიური აბონიმენტების სახით.

ვერ შეხვდებით ისეთ წით. არმიელს, რომელსაც არ ქონდეს წაკითხული რაიმე ლენინის ბიბლიოთეკიდან.

ლენინის კარვებსა და კუთხეებში მრავალი ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის თავის დროზე იგზავნება ბიბლიოთეკის მიერ. ბიბლიოთეკას ყავს მკითხველთა საბიბლიოთეკო წრე, რომელიც ატარებს ხმა მაღალ კითხვებს.

ბიბლიოთეკას აქვს თავისი კედლის გაზეთი, რომელიც აშუქებს საბიბლიოთეკო ხასიათის სხვა და სხვა საკითხებს, იძლევა წიგნების რეკომენდაციას და სხვა. გაზეთში სწერენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი წითელ-არმიელები. ბიბლიოთეკის, როგორც საზამთრო, საზაფხულო შენობა, საკმაოთ დიდია და კოხტად მოწყობილი.

ბიბლიოთეკას აქვს ლამაზათ მოწყობილი ლენინის კუთხე, გამოფენილია ამხ. ლენინის ნაწერები, სარეკომენდაციო სიები და ბიოგრაფიული პლაკატები.

ბიბლიოთეკასთან არსებობს სამხედრო კუთხეც.

ს იმნაიშვილი.

## ტყვილად დროს არ ვკარგავთ.

მე-7 ასეული. მე 3 ლეგ.

ჩვენს ასეულში ახალწვეულ წითელ არმიელების მოსვლისთანავე შეუდექით მეცადინეობას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. ახალწვეულები დიდის ხალისით ეკიდებიან ამ საგნებს. აქვე სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარეებთან მეცადინეობა, წერა-კითხვის უცოდინარნი დაყოფილნი არიან სამ ჯგუფად. ყოველ ჯგუფს ხელმძღვანელობენ ოცეულის მეთაურები. ლენინის კარავში სწარმოებს წიგნების და გაზეთების ხმამაღალი კითხვა და წაკითხულის გარჩევა. ხშირად ეწყობა საუბრები მუშათა მოძრაობის ისტორიიდან.

ასეულში კვირაში ორჯერ ტარდება სანიტსაათი, რასაც დიდის გულმოდგინებით უსმენენ წითელ-არმიელები. სანიტსაათით ძლიერ არიან დაინტერესებული ამხანაგები.

სამხკორი მანჯგალაძე.

## საჭირო განმარტება.

გაზ. „წითელ-არმიელის“ № 165 (863)-ში მოთავსებულია (მეოთხე გვერდზე)—დემობილიზაციით ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ-არმიელთა თავიანთ სამშობლოში დასაგზავნათ ტფ. ალმასკომის სამხედრო სექციამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე საჭირო თანხის გაღების შესახებ-ო.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გაცნობებთ რომ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ ყველა წითელ-არმიელებს ყოველ შემთხვევაში ეძლევა სამხედრო უწყებიდან რკინის გზის საბუთი და ხარჯი სამშობლოში უფასოდ წასასვლელად.

დივიზიის შტაბის სამწყობრო ნაწილი

## სამაგალითო მეთაური.

(ცხენოსანი ლეგიონი.)

ქართულ ცხენოსანი ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ მის მუდმივ ბინაზედ დარჩენ სამნეო ჯგუფის წითელ არმიელები ლეგიონის ქონების საყარაულოდ. მეთაურთაგან ჩვენთან დარჩენილია ამხ. სვანიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ სვანიძე დატვირთულია აუარება საქმეებით, ის მაინც შოულობს დროს და აწარმოებს ჩვენთან საერთო—პოლიტიკურ მეცადინეობას.

ასეთი მეთაური, რომელიც ყველაფერში მაგალითს აძლევს წითელ არმიელებს და ახალისებს მათ ყოველ საქმეში, ღრმა პატივისცემის ღირსია.

სამხკორი ტყისპირელი.

## „ახალი სოფელი“ გამოუწერეთ გლეხებს.

(ქართ. ცხენოსანი ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონის წითელ-არმიელების გონებრივი გათვითცნობიერება და პოლიტიკური აღზრდა თანდათანობით იზრდება, ვითარდება, ღრმავდება და ფართოვდება.

სოფელთან კავშირი, მშრომელ გლეხობასთან დაახლოება, აი რაზე ზრუნავს უმთავრესად დღეს საბჭოთა ხელისუფლება. ეს შეიგნეს ჩვენმა წითელ-არმიელებმაც. ამ მიზნით ჩვენს მცირე ჯამაგირიდან გამოუწერეთ სოფელს: ჩვენ ძმებს, მამებს, ნათესავებს და მეგობრებს გაზ. „ახალი სოფელი“.

თუ დღეს 96 კაცმა დაუგზავნა „ახალი სოფელი“ თავის 96 სოფლელ ნაცნობ—ნათესავს, ხვალ ეს რიცხვი სამჯერ მეტი იქნება და ასე ამნაირად ჩვენი წითელი არმიის საშვალებით რამოდენიმე ასეული „ახალი სოფელი“ მოეფინა ჩვენს სოფლებში და მით განმტკიცდება ჩვენი მშრომელ გლეხობასთან კავშირი.

სამხკორი მ. ჩახაია.

## ამ ნაკლსაც გამოსწორება უნდა.

1-ლ არტლეგიონის შეერთებულ გუნდს არა ყავს დალაქი.

თუ როგორმე ფულს ვიშოვით და კერძო დალაქთან შევალთ—ტყავს გვაძრობს, ძვირს გვახდევინებს, 40 კაპ. მიაქვს.

ხშირად ფული არ გვაქვს. პირგაუპარსავი ვრჩებით.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება.

მ ოლითისპირელი.

# პარტიული ცხოვრება.

### მე-2-რე ლეგიონის მე 3-ე პარტკომუჯრედის მუშაობა.

კომუჯრედი არსებობს ა. წ. მარტის თვიდან. ამ ხნის განმავლობაში უჯრედში სწარმოებს აქტიური მუშაობა. უჯრედის ყველა წევრები იჩენს აქტივობას. კომუჯრედის დახურულ ან ღია კრებებზე შუქდება ესა თუ ის საკითხი დაწვრილებით. უპარტიო წითელ არმიელები უჯრედის ღია კრებებზე დაინტერესებული არიან გაეცნონ ამა თუ იმ საკითხს დაწვრილებით. უჯრედი ყოველ ღონისძიებას ხმარობს საკითხები იყოს მარტივად გაშუქებული, რათა წითელ არმიელები გამოეხმაურონ და მისი გარჩევის დროს მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

კომუჯრედი მიმაგრებულია ქ. ბათომის კომუნალურ მეურნეობის უჯრედთან. კავშირი ჩვენ და მათ შორის იყო ცოცხალი სანამ საიგარაკოდ წამოვიდოდით, ლეგიონის ბანაკში გასვლამდე ხდებოდა გაერთიანებული კრებები. საიგარაკოდ ჩამოსვლის შემდეგ არის წერილობითი კავშირი.

**ბიკი.**

### მე-3- ლეგიონი

ივლისის შუა რიცხვებში ჩვენს ლეგიონს ესტუმრა პარტკომისიის მდივანი ამხ. ლომიძე. იმავე დღეს მოხდა კომუჯრედის კრება. სხდომაზე განხილულ იქნა ოცდა სამი ამხანაგების განცხადება კანდიდატებიდან მათი კომპარტიაში წევრებად გადარიცხვის შესახებ. ამხ. ლომიძემ პარტიაში მისაღებ ამხანაგებს მისცა შეკითხვები მუშათა მოძრაობის ისტორიიდან და პოლიტიკურ ეკონომიიდან. ამხანაგებმა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცეს, რის შემდეგ ისინი იქნენ დამტკიცებული პარტიის წევრებათ. ამათში 21 წითელ-არმიელია და ორი მეთაური. ამის შემდეგ ამხ. ლომიძემ დაავალა ამხანაგებს ხშირად მიაწოდონ გაზ. „წითელ-არმიელ-“ს და „კრასნი ვოინ-“ს წერილები ნაწილების ცხოვრებიდან.

სხდომა დაიხურა საღამოს სრულ 7 ნახ. საათზე.

სამხკორი **მანჯგალაძე**

# ასე მუშაობა არშეიძლება.

14 ივლისს, ოცდამეერთე სამხედრო სკოლამ „ავიოქიმის სასარგებლოდ გამართა გრანდიოზული „საღამო—კაბარე“. ამ საღამოში მონაწილეობა ყველა სამხ. სკოლებს უნდა მიეღო, მაგრამ ქართულმა სკოლამ გამონაკლისი შეადგინა. მიზეზი?

აღვნიშნოთ ფაქტები და მიზეზი უფრო თვალსაჩინო იქნება.

12 ივლისს, ოცდამეერთე სკოლამ მოგვმართა აღნიშნულ საღამოზე მიგვეღო მონაწილეობა.

13 ივლისს, დილით ქართული სკოლის კლუბის უფროსს, დრამ-წრის მიერ ოფიციალური პატაკი წარედგინა, რომელშიაც აღნიშნული იყო თუ როგორ და რა დახმარება შეგვიძლია აღმოუჩინოთ; თანაც ვსთხოვეთ, რომ ჩვენი სამუშაოთი დატვირთვის გამო, თვით მას მიექცია ამ საქმისთვის ყურადღება.

ჩვენ (წრის ხელმძღ. და მდივანი) ვამზადებდით: კომკავშირის საღამოს, წიგნის საღამოს და პირველ ასეულის მორიგ წარმოდგენას.

14 ივლისს, დილით ჩვენთან მოვიდნენ წითელ არმიელები მესანგრე ასეულიდან, ცხენოსან ლეგიონიდან, მესამე ლეგიონიდან და საკავშირო ასეულიდან, რომელნიც „წიგნის საღამოსთვის“ ეწყობოდენ, რომლებსაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ.

მათთან მეცადინეობის შემდეგ ოცდამეერთე სკოლის პირველი კომუჯრედის კრებაზე დასასწრებად წავედით (კრება 2 ნახ. საათზე დაიწყო). კლუბის მუშაკნი, საზაფხულო თეატრში წასულიყვნენ.

კრების შემდეგ ჩვენი სკოლის ეზოში მომაგრებულ კურსანტთა ჯგუფმა შეგვაჩერა და „პოლიტ - ინსტრუქტორული“ მომზადების მეცადინეობა დავიწყეთ.

კლუბის უფროსმა, ამხ. შარაშენიძემ, რომელიც აქვე სპორტ-ვარჯიშს უყურებდა, მეცადინეობის შემდეგ გვკითხა: „მეოცდაერთე სკოლაში თუ იყავით?“.

—ვიყავით პარტ-კრებაზე; რეჟისორი არ გვინახავს,—მიუგეთ ჩვენ.

—აბა, კრებაზე წადით, 6 საათზე უნდა დაწყებულიყო,—გვითხრა შარაშენიძემ და ჩვენც დაქანცული კრებაზე წავედით! (უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტ-ინსტრუქტორული მზადება კლუბის უფროსის პირდაპირი საქმეა, მაგრამ ჩვენ ვაწარმოებთ მისი „მოუცლელობის გამო“.

კრებაზე 30 კაცამდე შეიკრიბა. განსახილველი იყო „წიგნის საღამოს“ გეგმა და შრომის განაწილება.

30 კაცში ორიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომ ეთქვა „ამას მე გავაკეთებ, მე ამაში დაგეხმარებით“-ო, ყველა გაურბოდა საქმეს და მიღებულ გეგმაშიაც „ყველაფერია“—წიგნისა და სამკითხველოს დემონსტრაციის გარდა—კრებამ ორი საათის შემდეგ რამდენიმე (კრების არა წევრს) ამხანაგს დავალება მისცა და მთავარი საკითხების განუხილავად დაიშალა!!

კრების დამთავრების შემდეგ მეოცდაერთე სკოლის „საღამო კაბარე“ გავიხსენეთ.

კლუბის უფროსი საღამოს გამგის, ამხ. ბიბზის წერილს გვაძლევს, რომელიც განმეორებით გვთხოვს დახმარებას.

წერილით გვთხოვენ დილის ათ საათზე მისვლას. ამხანაგი შარაშენიძე კი ამას საღამოს მეცხრე საათზე გვაძლევს.

—აქამდე რას შვებოდით... პატაკი ხომ მოგეცით ამის შესახებ? ეხლა ვიღა გავგზავნოთ?—ვეკითხებით კლუბის უფროსს.

— ვინც გინდათ!.. ჩვეულებრივ უკმეხად გვიპასუხებს უფროსი.

ვეძებთ პიესას, საიდანაც სცენების ამოღება შეიძლება... კლუბის უფროსს სხვა ნაწილისთვის გადაუცია!

მივარდით სამკითხველოს,—დაკეტილია.

კურსანტები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ——განწესებაშია!

საკლუბო და პოლიტინსტრუქტორულ მუშაობას—ყურადღებაც ასეთი უნდა!!

სხვა ნაწილებთან კავშირი და დახმარებაც ასეთი უნდა!

ეს რომ პირველი შემთხვევა ყოფილიყო,—შეიძლება გამოსწორების იმედი გვქონოდა და ხმაც არ ამოგვეღო, მაგრამ დაგვტანჯა ასეთმა სისტემატიურმა უთავბოლობამ. როდის მოეღება მას ბოლო?

სამხკორი **ჩვენი.**

# ახალი ამბები.

— **საექიმო პუნქტები.** შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ საჭიროდ სცნო მოეწყოს ჭიათურის შავი ქვის მაღაროებთან სასწრაფო საექიმო დახმარების პუნქტები.

— **ახალი დარაბები.** ტფილისის ქალ. ბანკმა გასცა ტფ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას 200 000 მანეთი ახალი დარაბების ასაგებათა და სომხის ბაზრის გასაფართოებლად.

— **განთავისუფლება.** ტფ. აღმასკომმა გაანთავისუფლა გვიან ვაჭრობაზე არსებული გადასახადისაგან მუშკოპის სავაჭროები.

— **ლოტოს თამაშის აკრძალვა** თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა საორგანიზაციო-საინსტრუქტოროგანყოფილებას გამოსცეს დადგენილება თბილისის მაზრაში ლოტოს თამაშის აკრძალვის შესახებ.

— **საახალშენო აღმშენებლობისათვის** თბ. ქალაქის ბანკმა სხვა და სხვა ორგანიზაციებს გასცა სესხათ 200.000 მანეთი.

— **არხის გასაყვანი ხარჯი.** საქ. წყალთ. მეურნეობის პროექტით სამგორის არხის გაყვანა დაჯდება 5.795.000 მანეთი.

— **რადიო მიმღები აპარატების გაყიდვა.** საიგენტო „სვიაზმა. ნება დართო ფოსტა ტელეგრაფის წარმოებებს კერძო პირებზე ცალცალკე რადიო მიმღებ აპარატების გაყიდვისა.

— **„ზაჰეს“-ში.** დაწყებული მუშაობა „ზაჰეს“ის მთავარ სადგურის ასაგებათ.

— **თუჯის მილები.** წყლის უნაყოფოთ დაქცევის თავიდან ასაცილებლათ, წყალსადენის გამგეობამ შეუკვეთა მეტალითონეთა სინდიკატს 11.500 ფუთი თუჯის მილები.

— **ხის მერქნის დამუშავება.** ს. ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა დაიწყოს სამკურნალო მცენარეების მერქნის ხელახალი დამუშავება.

— **წყალ-საზომი.** წყალსადენის სამმართველომ მოსკოვში შეიძინა 1800 წყალსაზომი.

**მოაგარაკეთა აღრიცხვა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს თბილისის მაზრაში არსებულ აგარაკებზე მოაგარაკე-მოქალაქეთა აღრიცხვა მილიციის სამმართველოების საშუალებით 24 საათის განმავლობაში.

— **საძოვრების რაოდენობა.** მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით სიღნაღის მაზრაში ამჟამად ითვლება 4.428 დესეტინა საზაფხულო საძოვარი ადგილი.

— მიწათ-მოწყობა. საქ. მიწ. მოქ. კომისარიტის ცნობით სიღნაღის მაზრის 2 სოფელში უკვე დასრულდა მიწათ მოწყობის საქმე.

— ბანკის განყოფილება. ამ დღეებში ტფილისის ქალაქის ბანკი ახალსენაკში ხსნის თავის განყოფილებას.

— ელსადგური. ამ დღეებში ახალციხეში დამთავრდება 80 ცხენის ძალიან ელექტრო სადგურის აგება.

— თხილის დამზადება. ცეკავშირი სამტრედიის რაიონში შეუდგა 60.000 ფუთ თხილის დამზადებას.

— სიმინდის გაიაფება. ქუთაისში ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდის შემოზიდვის გამო სამტრედიის ბაზარზე სიმინდი გაიაფდა 20 პროცენტით.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ვინმე „ტრანსპორტის“ მიერ გაზეთ „წითელ არმიელის“ № 154-ში მოთავსებულია წერილი მეორე ქართულ მსროლელ ტერდივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის ლენინის კუთხის შესახებ, ის ლაპარაკობს, რომ აღნიშნული კუთხე ერთი შეხედვით წარმოადგენს აბნეულ კლუბს, რომ განყოფილებები არ არის განაწილებული; კუთხის ცენტრალური ადგილი „ჩვენია პარტია“ სურათებით არის დატვირთული. განყოფილებებს არ ყავს ხელმძღვანელები და ხელმძღვანელობს ერთი ამხანაგი და სხვა.

ამხ. „ტრანსპორტს“ შეცდომაში შეყავს მკითხველი.

მან კარგათ უნდა იცოდეს, რომ ლენინის კუთხე ცალკე ნაწილებში იგივე კლუბია; რაც შეეხება განყოფილებებს ჩვენთან არსებობს განყოფილებები და მათ ხელმძღვანელი ყავთ ცალ-ცალკე.

ჩვენი ლენინის კუთხე დაათვალიერა პოლიტგანყოფილების წარმომადგენელმა და ძალიან მოიწონა.

საჭიროა სწორი ცნობები მოაწოდოთ ამხ. ტრანსპორტო ჩვენს გაზეთს.

სამხკომი **ახობაძე.**

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ. ქ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: პარტიის კანდიდატებს: 1. წითელ მეთაურს ამხ. გალაქტიონ ჭელიძეს, მცხოვრებ რაჭის მაზრისა, და 2. წითელ არმიელს შალვა კოჩლაძეს, მცხოვრებ რაჭის მაზრაში, რომელნიც თხოულობენ პარტიის წევრად გადარიცხვას. კომკავშირის წევრებს: 1. ლორია ამბერკი სოლომონის ძე, მცხოვრებს ქუთაისის მაზრისა, წითელ არმიელი ამავე ასეულისა, 2. წულაძე გრიგოლი, მცხოვრებს ოზურგეთის მაზრის, წითელ არმიელი. 3. ცხომელიძე აკაკი, მცხოვრებს ოზურგეთის მაზრისა, სოფ. დუაბზუვი წ. არმიელი. უპარტიო ამხანაგებს პარტიის კანდიდატად: 1. კალაძე ბესარიონ სილიბისტროს ძე, მცხოვრებს ქუთაისის მაზრის, სოფ. ეწერი წ. არმ. 2. ლორენცი ვლადიმერი, მცხოვრებს თელავის მაზრის. წ. არმ. 3. ასლამაზოვი ერვანდი არტემის ძე, მცხოვრებს ერწოს მაზრის სოფ. ლულელეთის, ასეულის მომასახლისი. 4. ძოწენიძე გრიგოლი რაჟდენის ძე, მცხ. ქ. მაზრის სოფელი როკითის. დაქირავებული ათისთავი 5. გოგოძე ვლადიმერ ასლანის ძე, მცხ. ქუთ. მაზრ. სოფ. ტობანიერის. ამავე ასეულის ექიმის თანაშემწე.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში.

---

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდათ მიღების შესახებ კურსანტ გრიგოლი მესხს. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ვსთხოვთ გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში.

**№ 1 უჯრედის ბიურო.**

---

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3 მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. ამხ. ილარიონ არსენის-ძე ხობუას ახ. ლ. კ. კავშირის წევრი 1918 წლიდან. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ორი კვირის განმავლობაში. ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში.

---

1 ლი ქარ. მსრ. დივ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წითელ-არმიელ კომკავშირის წევრს ამხ. ვალერიანე რემანოზის-ძე ვეფხვაძეს, მცხ. გორის მაზრის ქალაქ ხაშურის, პარტიაში კანდიდატათ შესვლის შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: პირველი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

---

**დაიკარგა** ახ. ლ. კ. კ. წიგნაკი ოზურგეთის პოლიტბიუროდან გაცემული № 4587, ევსევი იესეს ძე ჩხარტიშვილის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.